კვირა 2 მარტი

ფასი 5 კაპ.

მათრახი

№ 7

იუმორისტ. ჟურნალი

ამირანი

საქართველოს ველზე იდგა
ამირანი გაბარჯღული
ყოველ მხრიდან ეხვეოდენ
ულრინავდა ძალზე გული.

მაგრათ იყო დარჭობილი
მოედერა წვრილი ყელი,
გაბასრული მახვილითა
აეშვირა მაღლა ხელი.

თოფ-ზარბაზნით შექურვილი
ველს იცავდა ჩვენი გმირი,
მოსულ მტრებს უყიოდა
და გაეღო ფართეთ პირი.

და ამ ველის დაცვისათვის
ვრ ზოგავდა კალამს, ენას
ავის თავი დაევიწყა
ვარ ყოფდა შვება-ლხენას.

—

მაგრამ ვეღარც ზარბაზანი
ვეღარც მისი კალმის წვერი,
ვერ შველოდა, ვეღარ შესძლო
ამოეხსნა ღვისი ერი.

—

შიმშილობა სიღარიბე
მძიმე არის ამ ჩვენ დროში
ავადებიც ველსა ჰგლეჯდენ
რომ აელოთ ორი გროში.

—

დევ-გმირი კი გაჰკიოდა
დაანებეთ თავი ველსო,
თორემ ეხლავ გაღმოვიქნევ
ასიკვდილოთ ხმლიან ხელსო.

—

საქართველოს ველზე იდგა
ხმირანი გაბარჯღული,
ესეოდენ ჰგლეჯდენ, სწეწდენ
უკვდეზოდა ბედშავს გული.

კროლა.

მუშის ჭირიმე!

მუშის ჭირიმე, მუშისა,
და მის კოჟლიან ხელისო,
რაც უნდა ტანჯვა გადახდეს,
მაინც მომავალს ელისო.
მუშის ჭირიმე, მუშისა,
ვინც წმინდა შრომის, შვილია,
ვისაც არ უყვარს შრომის დროს,
ტყვილა ჯდომა და ძილია.
მუშის ჭირიმე, მუშისა.
ის მოყვასია ძმისაო,
მისებრ ჩაგრულის ერთგული,
თავ ზარ დამცემი მტრისაო·
მუშის ჭირიმე, მუშისა
და მის დიდებულ ძალისო,
იმათში ბუდობს იმედი,
დიადი მომავალისო.

ნ. ჯიხაიშელი.

გურული სცენა

ცოლ-ქმარი.

მატრონე. რა ქენი თედორავ საიყავი ამ დალუსკუმებამდი ოჯო, რავა კაცი უნდა შ.გეცოდვოს, ხარი, ძროხა, ღორი, ვახშამი, ბაღანაი გულზე ჩამოკიდული, მოვკტი მეი აღარ ვარ და ძაღლმა ჩააკვდა ამისთანა ცხოვრებას.

თედორაი. რამექნა შენიჭირმე შენ თუ არ მეცოდვები აბა ვინ, მარა ღმერთი ამოაგდებს ჩვენ მამასახლის მისმა ამბავმა დამაღამებია.

მატრონე. რა მამასახლისი შეიქნა იგი გარუჯული, თქვენ არ იყავით კაი იქნებაო ჩიოდით!

თედორაი. გაკავდა მისი ძარღვები, კაი რავა ოთხ კლასში გამორებული კაცია, ღარღილი იმისთანაი აქ რომ კაცს დაგაფიქრებს, ჯამაგირანია ვეფერს იცუღლუტებსო, იგიც ქე იგი ვქენით, დედავ ამას მაინც წუუკლავებია და მისკენ უთლია.

მატრონე. მაინც რაიო, რა უქნიაო აჰ საშინელს.

თედორაი. ვინ გააკლოვს ათასი იგი და აგი, მარა რას დაუმტკიცებენ მისმა საიქიომ ცოდეს რაცხა ბოგის ფული, კლასის ფული და ამისანვები კიდო ოზრუგეთის ფოსტის ცხენების ას-ას მანეთი აგვატყავა წელიწადში, იქინეი თურმე ოცდასამი მანათი გვჭირებია! ახლა ჩივა იგი ვინცხა არენდატორს მივეციო ეტყობა იგენს შვა მახინაციაა, რა ვიცი ეშმაკმა წეიღო იგენის თავი ჩვენ კი ამოგვაძვრეს სული და აი ჩემსავით ხელ დაფურეშკული ყაძახიც რომ ამას გვიბედავს სხვები რას გვიზამს.

მატრონე. მერედა აფერი უთხარი?

თედორაი. დალოი მამსახლისობა, ან ჯამაგირი ქვითო უთხარით

მატრონე. რას ჩივა მერე რა სთქვა.

თედორაი. გაკუნტრუშდა ფეხებზე მკიდიხარ ყველაყაიო, მარა ჩვენი ნაჩალნიკი კარგათ გვყავდეს და ამის სეირს ვნახავთ.

მატრონე. იგი ნაჩალნიკი ქია ვითამ ამისანაი ქრისტიანი?

თედორაი. უხ ნულარ ჩივი შენ, ღმერთმა იმისთანაი ჩვენი ზოსიმე გამეიყვანოს, სამსონამ თქვა თლა შაქარი რომაა ა კრიპუჭი იმისთანაიაო, დედავ რა ვნახე იგიო ჩიოდა, გურიას ედემსავით ავაყვავებო დამპირდაო.

მატრონე. მამაზეციერმა სიკეთე დამართოს და შაქარსავით დააბეროს, მარტუაი იგი რად ღირს ჩვენი მიწის შვილია პრავოჭიკი არ გინდა, ვითამ თუკი ქნა ნაჩალნიკს ღმერთს გარდა ყოლიფერი შეუძლია, ღმერთო შენი სახელის ჭირიმე გამოგვიგზავნე ამისანაი კაცები.

თედორაი. აბა რავა გონია ყოლთვინ ხულიგანების ხელში ვიქნებით? არა ერთი თელი წულა რომ მომცა იმისანაი გულზე ვარ აიდა ვფხეკებ ოზურგეთში და აფერს არ დუუმალავ ამ გზებზე რომ ვიხჩობით და არავინ გვაკეთებიებს, ამას ყველაყას ვეტყვი და ღმერთს დუუჯერე ამისანაი მონათლული კაცი თუა კი იზამს წყალობას.

მატრონე. ამას თუ იზამდე წულის ფასათ ერთი ყვერული და ორი დედალი გეყოფა.

თედორაი. რაცხა კი იქნება, მე თუარა ბაღნებს მაინც კი მიესროზა, შენ ხეფსი თუ გაქ მაჭამე რამე.

მატრონე. ხეფსი? ამის უმფროსი ღმერთმა ნუ მოგვცეს, იმისთანაი ზეთში შემწვარი ქაფშიეი, ტარანაი და ყველ კვერცხი მაქ რომე თითს ჩაატკვერ.

თედორაი. ყოჩაღ, კაი აღების ვახშამი გვქონებია, ამგაის კიდომ ამისანაი.

შხანკოლა.

სევდიანი კუპლეტები.

გაზაფხულმა გვტყორცნა შუქი,
აყვავილდა—ია-ვარდი,
ჩაინარცხა ზამთრის ბუქი,
სიომ იწყო კვლავ ნავარდი.

—

მაგრამ მე კი შორს გამექცა—
სიხალისე, გაზაფხული;
ჩემი ვარდი ეკლათ მექცა—
ლამის გამიკაწროს გული...

დარდიანიძე.

ტუსაღის გოდება.

წამართვეს სატრფო, და არ მაცალეს,
რომ წუთი მასთან დავმტკბარვიყავი
და ჩემი მხსნელის, ჩემი იმედის,
ალერსის ღირსი გავმხდარიყავი.
მომგლიჯეს სატრფო, ნაამაგდარი,
ჩემი ნუგეში, დილის ცისკარი,
დამტოვეს მარტოდ მე ბნელ საკანში,
ამომიქოლეს ლოდებით კარი.
ნეტავ სად არის ჩემი ღვთაება
და ვინ შესცინის, ვინა ჰხვევს ხელსა!
ვინ იცის, ვისი ტლანქი ტუჩები,
ჰლოლნის საზიზღრად მის ბროლის
ყელსა.
ნუ, ნურვინ ფიქრობს რომ ის
წამართვან,
დაახშონ ძალით მის სიყვარული,
ის უმანკოა, ვით შველის ნუკრი
და წმინდა, ვითარ მთის ნაკადული.
რომც ააშენონ ცათამდე ზღუდე
და გზას მოჰფინონ ეკალი-ნარი,
მაინც მე იგი არ მიღალატებს,
მას მე უყვარვარ, ის ჩემი არის!..

გოგია.

დეპეშები

დ. ლანჩხუთი. ტყუილი გამოდგა ის მართალი ამბავი, ვითომც აქაურ სკოლაში სიმდიდრე-სიღარიბეს არ აქცევენ ყურადღებას და მოსწავლეების „ზაპრაუჩენიეს“ ფულს ეპიფანეს ზეგავლენით მის მეგობრებს აპატიებდენ.

იქიდანვე. ტყუილია ისიც რომ ხუხუნაიშვილის ქალის გამოსვენებაზე იგივე ეპიფანე პანაშვიდის გარდახთის გამო გაკუნტრუშებულიყოს, ოლარი კუბოზე დაენარცხებიოს და მოეკურცხლოს. მართალია მხოლოდ ზემოჩიბათის მასწავლებელ ქანტურიას ხალხმა რაღაც ცამეტიოდე ბრალდება უჩივლეს ყველა მის უზნეობის დამახასიათებელათ, რის გამო კირილა და ხალამპრე დღესაც თურმე სტირიან, გიგოიეი კი ბან ეუბნება.

არამკითხე.

—

ბათუმი. კარგათ ცნობილი ობერ პარიკმახერი თ. დონაძე რკინის თეატრში წაიკითხავს ლექციას „ნორმალურ დასვენების გაუქმებაზე“ თუმცა იგივე ლექტორი წინეთ კითხულობდა ნორმალურ დასვენების შემოღებაზე, მარა განსხვავება იმაშია, რომ მაშინ ის იყო დაქირავებული, ახლა კი „ტიტულიანი“ ხაზეინია.

იქიდანვე. რადგანაც ქალაქს ძლიერ ძვირად უჯდება ქუჩების განათება, ამიტომ კეთილ ინება ილიუზიონების პატრონებმა „ბრავალმა და კომპ.“ და „მარინსკი“ ქუჩას მათი „სუმით“ ანათებენ.

სამტრედია. აქაური ვაჭრები იკვლევენ და ვერ გამოიკვლიეს რა ჰქვია ან რას ეძახიან ნორმალურ დასვენებას ან რა საჭიროა.

ს. გაგური. ხ. მგ-ძე ტყუილების თქმაში დახელოვნდა; სიცრუე რომ სიგრძით იზომებოდეს ხარიტონის ტყუილები „გათხრილის ძირიდან“ სამტრედიამდე მისწვდებოდა. ყველაფერს მისი მოხელე სჯობია.

ს. აკეთი. აცანას და აკეთს შუა შავმა კატამ გაიარა.

ისკანდერ.

—

დ. ხაშური.

„ბითურასაგან“ შემდგარი რაზმი გაფაციცებით დაეძებს კუდრაჭას სააგენტოს უმთავრეს გამგეობას, ეჭვი მიიტანეს რამდენიმე არა კეთილ-საიმედო პირებზე, მარა ჯერ-ჯერობით ვერ ჰბედავენ მათ დატყვევებას.

კუდრაჭა.

—

დ. ყვირილა. ვინაიდან აბლაკატობა მოისპო კანონის ძალით ბურთი და მოედანი სასამართლოში მხოლოდ კალენიკეს და ასლანას დარჩა. მთხოვნელების მიღებას ვერ აუდიან, ამის გამო მათ ახალი ნიხრი შეუდგენიათ (თავიანთი გონორარისა).. მიზეზათ იმას გიპასუხებენ რომ ჩვენ პირველი სორტის დიპლომიანები ვართო.

ნიკო-ბერი.

—

ტოლები. 21 თებერვალს სახალხო სკოლების ინსპექტორს შემდეგი შინაარსის დეპეშა მიუღია: მასწავლებლები დაგიუდნენ, ბავშვები გველუპება მოგვეშველეთო“, ინსპექტორი საჩქაროთ წამოსულა.

ჩოხატაური. აქაურ ნოქარ-შეგირდებს უცნაური სენი შეეყარათ, ისე მაგრათ სძინავთ, რომ თითო თვეობით ველარ იღვიძებენ. ვაჭრებმა გადასწყვიტეს მძინარეები ამუშაონ.

იქიდანვე. 1 მარტიდან იხსნება მეორე ყავახანა „ერთობა“ წევრებათ მიიღებიან მხოლოდ ის მოთამაშეები, რომლებიც მაღალ წოდების არიან და თვიურათ გადიხდიან 30 მანეთს.

ყორანი.

წერილები.

სოხუმი. (კაკალი თვალით ნახული) ვერ წამოიდგენდი მათრახოსანო რა აუცილებელი საჭირო იყო შენი აქ ყოფნა 14 თებერვალს, შესრულდა თუ არა ცხრა საათი, იწყეს გლიჯინი ალოიზის თეატრში ნაირ-ნაირმა მასკებმა, მათ უთავბოლო თარეშს მარტო შენი კუდი გაასწორებდა. მოაწყვეს მახინაციები ჩააქრეს ელექტრონები ზალაში შეიქნა პროშტვა მარა რა პროშტვა მგონი მაქაც გაიგონებდი, ბევრს ქალსა და კაცს გული წაუვიდა და მიიცვალა ვეჩერიან ჩამპროშტველებიანებ. მერე პრიზებს არ იკითხავთ? აგენტების ყოლა კი გამიგონია აქიმზე, ვექილზე, აფთიექზე, ზინგერზე, ტანისამოსის მაღაზიაზე, ფუქზე, საფართლოს მაღაზიაზე ძმ-ბ ერქომაიშვილზე, ბახვა გაბუნიაზე, და ნიკო დოლიძის სასადილო რესტორანზე, მარა რაფერ წარმოვიდგენდი ვეჩერში პრიზის მიღებაზეც აგენტების ყოლა იყო საჭირო, გაჩნდა აგენტების თარეში არა ამას მივცეთ ბილეთი არა ამასო, ზოგს ვახშამს პირდებოდენ და ზოგს სადილს, აბა ქალები ხო იცი რას არ პირდებოდენ. ერთმა კარგმა მსუქანმა ქალმა გადამეტებით თავი ისახელა აგენტებით. და ყველა ასეთებისთვინ ბევრი გინატრე მათრახო, იმ დროს როდესაც შენს ნატვრაში ვიყავი ზალაში შემოასვენეს

კუბოს მგზავსი გველეშაპათ წოდებული, ვიფიქრე ეხლა ვიჯერებ გულს მეთქი ამ კუბოდგან ეშმაკი ამოძვრება თავის მათრახით და ბევრს ვისიამონებ მეთქი, მარა მოვსტყუვდი მალე ამ გველეშაპსაც გაუჩნდა აგენტები და დამქაშები და მეც მეტი ვერ გავძელი ამდენი ტრაღედიის მოწმემ და გავშორდი იქაურობას. მაგრამ თუ კიდევ შემდეგისათვის განმეორდა ასეთი საღამო უსათუოთ უნდა გვიშველო რამე, რომ ეს დონჟუანები ჭკუაზე მოიყვანო შენის წყვიდინით.

ერთი.

ი. გრიშაშვილი.

იოსებ გრიგოლიევნა გრიშაშვილი.

(მეგობრული ხუმრობა.)

ქ-ნი ი. გრიშაშვილი დაიბადა 1754 წელს ქალაქ ხარფუხში. ოთხშაბათი დღე იყო იქნებოდა საღამოს 9 ჟამი, როდესაც ქ-ნი გრიშაშვილი ქვეყანას მოევლინა. მართალია ის ღარიბ ქოხში დაიბადა, მაგრამ ისეთ მხიარულებაში, ისეთ სიცილ-ხარხარში, რომ თვით ბავშვმა დაბადებისთანავე იგრძნო ეს და საამოთ გაიღიმა, ეს პირველი მაგალითია ცხოველების ისტორიაში რომ დაბადებისთანავე ვინმეს გაეღიმოს. საზოგადოთ ბავშვის პირველი ნიშანი ქვეყნად წარმოშობისა არის ტირილი. დაიბადება თუ არა ბავშვი ის მაშინვე ტირილს იწყებს, ალბათ გრძნობს რა ვვარ ცხოვრების ზღვაში შესცურა და რამდენი ტანჯვა-წამების წუთი მოელის. ქ-ნ გრიშაშვილის პირველი ღიმილი ფრიად ღრმა აზროვანი და მნიშვნელოვანი იყო, მან მაშინვე იგრძნო, რომ მთელი მისი მომავალი ცხოვრება მხიარულებასა და ღიმილზე იქნებოდა აგებული. ეგ კიდევ არაფერი ქ-ნი გრიშაშვილის დაბადებას დაესწრენ ახლო-მახლო მეზობლები, უმეტესათ ქალები და მათ შორის ერთი ფრიად ლამაზი გოგონა. ქ-ნმა გრიშაშვილმა დაბადებისათანავე ყველას თვალი მოავლო ლამაზ გოგოზე შეჩერდა, თვალი ჩაუკრა და ჰაეროვანი კოცნა უძღვნა. დედას ჯერ სიმწრის ოფლი არ მოეწმინდა, რომ დაბადებისთანავე მას ტუჩებზე დაეწაფა და პირველი კოცნა უძღვნა. შემდეგ მამამ აკოცა, შემდეგ მეზობელმა ქალებმა. ამ გვარათ გრიშაშვილის ამ ქვეყნათ მოვლენა კოცნით დაიწყო. ეს შეხებითი გრძნობა მას მთელ ორგანიზმში ჩაექსოვა, და მთელი მისი გრძნობა-გონება შებოჭა, დაიმორჩილა. როდესაც ლაპარაკი დაიწყო პირველი მისი სიტყვა იყო კოცნა, როცა პირველად სასწავლებლის ბჭეს ფეხი გადაადგა მამამ აკოცა და დასტოვა, სწავლა კოცნით დაიწყო,

როცა უკანასკნელად იმავ ბუნეს ფეხი უკან გადმოადგა და ტირილით სახლის კარებს მიადგა დედამ აკოცა, როცა წამოიზარდა და გულში სიყვარულის ცეცხლი იგრძნო მეზობლის პატარა გოგოს დაუწყო არშიყობა და პირველ დალაპარაკებისთანავე აკოცა. როცა პოეტურმა ნიჭმა გაუფრთხიალა თავში, მელანში კალამი ამოაწო დიდის ასოებით პირველათ აღბეჭდა ქაღალდზე კოცნა. მას აქეთია ყოველ მისს პოეტურ ნანთხევს საფუძვლათ კოცნა უდევს. ამ გვარათ ქ-ნი გრიშაშვილი ამ ქვეყნად მოვლენის დღიდან ტყვეთ ჰყავს ამ პირველ გრძნობას, კოცნას სიყვარულისას. როდის და რა პიროპებში დაახწევს თავს ამ ტყვეობას ამას მომავალი დაგვანახებს.

ქ-ნი გრიშაშვილი ჯერ სულ ახალგაზდაა, გაუთხოვვარი და იმედია ძალზე გასჭიმავს თავის ნიჭს.

თინა.

შენ რა გაშფოთებს მითხარი გულო!?

დილისა სიომ დაისისინა,
ბეზე ფოთლებმა დაუკრეს ტაში,
ტყეს გაელვიძა, შეიშრიალა,
ცაში ტოროლამ იწყო თამაში.
მზეც ამობრწყინდა, მკერდს უშვერს
მიწა,
ცეცხლათ ენთება ცისა ტატნობი,
ვარდს სხივი მოხვდა, შეუშრო
ცრემლი
სულის მომკვლელი, გულის დამდნობი.

ნაკადი ლალობს, ია იცინის,
ბულბული გალობს გახარებული,
შენ რათ შფოთავხარ მითხარი გულო,
რათა ხარ ეგრე გამწარებული?!

ა. ხონელი.

ტელეფონი

— ჰო, „ცენტრალნი“? „ცენტრალნი“ ხარ?

— ა? იმე! ხომ არ მეარშიყები, ვიღაცა ხარ, ხმა მაღლა სთქვი, ვინა ხარ?

— ოჰ! დაგექცა ოჯახი, ზარი და ზარბაზანი ნუ მოაკლოს ღმერთმა შენს ოჯახს. რას მირიწკინებ თუ იცი. ე! მე შენ გეკითხები ვინა ხარ?

— ცენტრალნი? ჰო, თუ გიყვარდე ბარიშნა ერთი ბესარიონ გვარჯალაძეს გამომიძახე. სალდათის ბაზარში, დიდი ბაღის ახლოს პადვალში პოვრათ არის. დოჯრიწკინე ერთი თუ გიყვარდე.

— რა? ნომერი? იმე! ბიჭოს უნომროთ არ იქნება? სახელს გეუბნები და გვარს, ბესარიონ გვარჯალაძე, ბესარიონ გვარჯალაძე.

— ნომერი? იმე! ხუმრობ თუ რა ამბავია. ამდონხანს ნომერი არ ქონდა და ახლა თუ დანომრა უპრავამ არ ვიცი. რა ნომერი გითხრა.

— ტელეფონის? ჰოო, ტელეფონის ნომერი ორას ოცდა თოთხმეტი... ჰო ოცდა თოთხმეტი. გმადლობთ.

— ვინა ხარ?

— ბიჭოს! მე შენ გეკითხები ვინა ხარ?

— არა თუ ძმა ხარ ნუ მემასხრეები, ვინა ხარ?

— მე ვინ მინდა? მე ბესარიონ გვარჯალაძეს ვიწვევ სალაპარაკოთ.

— რა? იცინი? მასხარათ შენი თავი აიგდე ვიღაცა ხარ? იმე! ვაი დედა შენს რომ ჩემი ხანჯალი ვერ მოგწვდება აქედან, თორემ დაგაყრევინებდი შიგანს. მითხარი ვინ ხარ, თვარა დავამტვრიე ტელეფონი.

— რა მაცხარებს რომელია, თუ ბესარიონი არა ხარ, თუ ღმერთი გწამს გამიშვი ერთი მას ველაპარაკო.

— რა? რას ამბობ? „სახალხო გაზეთის“ რედაქცია? უჰ! ღმერთო მომკალი! მაპატიე ბატონო რედაქცია, რომ ცოტა გავბრაზდი და არა საკადრისი სიტყვები გაკადრე, მარა ხომ იცით იმერელი კაცის ამბავი. მაპატიე თქვენი ჭირიმე. გაუწყრეს ზიარება ბესარიონ გვარჯალაძეს, იმასთან მინდა ლაპარაკი და თქვენ უბრალოთ შეგაწუხეთ. ალბათ ცენტრალს აურევია ნომერი.

— რა? მუდამ მზათ ხართ ყველას ემუსაიფოთ? ძალიან სასიამოვნოა, სასიამოვნო. უკაცრავათ ვარ ამ სიტყვისთვის, მარა ერთი მითხარი თქვენი ჭირიმე თქვენ თვითონ რედაქტორი ბრძანდებით?

— ვინა? სტოროჟი? ვაი დედაშენს ამდენი ბოდიშები მახდევივ. ერთი თუ ხათრი გაქვს რედაქტორს სთხოვე ჩემ მაგიერ ცოტა ხანს ყური მიადვას ტელეფოს. აბა, შენი ჭირიმე, ახლა გამახსენდა ერთი საკითხავი მაქვს.

— შენ გითხრა? შენმა მზემ შენ ძალიან ბევრს გაიგებ. სთხოვე რედაქტორს, გენაცვალე, დიდი სურიოზნი საკითხავი მაქვს. აბა ჰა!

— ბატონი რედაქტორი ბრძანდებით?

— დიდ ბოდიშს მოვიხდი, ბატონო, რომ შეგაწუხე, მარა, ნუ გამიწყრებით. ერთი კვირაა არც ძილი მაქვს და არც მოსვენება, თექვსმეტ თებერვალს გამოსულმა თქვენმა გაზეთმა სულ ოჯახი დამიქცია.

— თქვენი გაზეთი რა შუაშია ჩემი ოჯახის დაქცევასთან? ეხლავე მოგახსენებთ. თექვსმეტ თებერვალს თქვენ გაზეთში ერთი საარაკო ამბავი ამოვიკითხე: **„რობესპიერმა კონვერტში მჭუხარე სიტყვა წარმოსთქვა“**. ამის წაკითხვა და ჩემი გაშტერება ერთი იქნა. მას მერე ვიხეთქ თავს და ვერ გამიგია როგორ ჩაეტია იმოდენა კაცი კონვერტში.

— იცინით? კაი ამბავია? რა? შეცდომა იყო? იმე! თქვე დალოცვილებო სულ იმას იძახით შეუცთომელები ვართო და ამისთანა შეცდომა იქნება? ვინ იცის რამდენი ჩემისთანა იტეხდა თავს ამ ამბავზე. მე შუა ბაზარი ტრაბახობით ავიკლე. თუ კი რობესპიერმა მოახერხა, გელოვანი ისეთ სიტყვას იტყვის კონვერტში, ისეთ ქუხილს ასტეხავს, რომ დუმის კედლებს სულ დალეწავს მეთქი. ეხლა ხომ ტყუილი გამოვიდა.

— არა უშავს? რა საკადრისია! არა გცალიათ? უკაცრავათ, მაპატივეთ. პოჟოლუსტა დაკეტეთ თქვენი ტელეფონი.

— ვინა ხარ? ცენტრალნი? რა არის ბარიშნა, ყურს ხომ არ გაკლია? ბესარიონ გვარჯალაძე გითხარი და რედაქციასთან გადამაბი.

— ნომერი? ათასჯერ ხომ არ უნდა გითხრა? ორას ოცდა თოთხმეტი, თოთხმეტი. გადამაბი? კარგი.

— ვინა ხარ?.. ვინ ხარ ტელეფონთან?

— ვინა? შვეიცარი? ვინ შვეიცარი რას ამბობ?

— კლუბის შვეიცარი? აი დასწყევლოს ღმერთმა ვინც შენთან გადააბა ჩემი ტელეფონი.

— რაო? არა გცალია? მამასახლისებს ირჩევთ? თავპირიც დაგიმტვრევიათ, ერთი მაგი შენი ტელეფონი დაკეტე და მერე რაც გინდა ქენი, გინდა მამასახლისები აირჩიეთ და გინდა კისერი მოიტეხეთ.

— ცენტრალნი? ბარიშნა ისეთ გულზე მომიყვან რომ სულ მივამტვრევ ამ ტელეფონს.

— რა მაჯავრებს კი არა, გული ყანყრატოში ამოვიდა, რა ამბავია ხან რედაქციაში მაგზავნი, ხან კლუბში და ხან ჯანდაბაში. ნუ გამომიყვან მოთმინებიდან ახლავე დაუძახე ბესარიონს.

— ნომერი? ორას ოცდა თოთხმეტი. მადლობა ღმერთს.

— რომელი ხარ? ა? რა გაზლუქუნებს? ბიჭოს! ლუკმა ხომ არ გაქვს პირში? ბესარიონი ხარ?

— აი გაგიწყრა გაბრიელ მთავარ ანგელოზი. შენი გულისთვის მთელი თბილისი შევსძარი. რას ჭამ ბიჭო? ღორის მწვადს? რავა რომ გელაპარაკებიან ჭამას ვერ დაანებებ თავს?.

— რა? გემრიელი ლუკმა არის? გაგისკდა მუცელი. მთელი დღე საჭმელებში ურევ ხელს და ველარ გაძეხი? ჰაი დედასა სად არის ერთი თბილისის სადგურის მებუფეტე რომ კარგათ მიგტყეპოს ეხლა. შენთან ბევრი სალაპარაკო მაქვს და ყური მიგდე.

— არ გცალია? საჭმელები გაქ გასაკეთებელი? ბიჭო ერთ საათს ვერ მოიცლი? მომავალ კვირას თავისუფლათ ხარ? მშვიდობით, შეგარცხვინა ღმერთმა.

ტირიფი.

წერილი სიღნაღიდან.

ბატონო მათრახოსანო
ჯოჯოხეთისა ხმოსანო,
შენი მათრახის წვერია
ყველგან არს მონაღერია.
ყოველი მხარე იარე,
ქვეყანა შემოიარე,
და კახეთი კი დასტოვე,
ერთხელ არ გამოიარე.
თითქოს აქეთკენ სუყველას
შენსა წვერებად სთვლიდეა
და გამათრახვას ამ მხრისას
საჭიროდ არა სთვლიდეა.
მაგრამ იმდენსა ჩამოვთვლი
სახელებს ვერცკი სთვლიდეა
და სახელს კოტეს კიტაში
ველარ არჩევდე—სცვლიდეა
და მათრახისა მოქნევას
მგონი ვერც მოასწვრიდეა
და ნებით სიკვდილს პატრონსა
არცალა დაალლიდეა...
ვინძლო აქეთაც იარო,
თან წამოიღო მათრახი,
რომ ყველას ზურგი აუწვა,
დააწყებინო ვახვახი...
ერთს მე გიჩვენებ, რომელსაც
სახელი ზემოდ მითქვია,
გვარსაც გეტყოდი, მაგრამა
მგონი კიდევაც მიხვდია,

მისი საქმენი საგმირო,
მოღვაწეობა დიდია
და მისთვის მისი სახელი
ხოტბის ღირსია—მიქია!!!
ამ გმირსა „ხმა კახეთისა“
მთელი თავის ხმა ჰგონია
და ყველას პირში ბურთსა სჩრის,
იხმარა ყოველი ღონია:
აცხობს და აცხობს „დღიურებს“
როგორც ,რომ ხაჭა-პურია,
ღეჭავს და ღეჭავს იმასვე,
რაც რომ ათასჯერ უთქვია;
მაგრამ წაუხდა ზრახვანი,
ზოგმა უშალა ფონია
და მისთვის აგი ბატონი
ძაან არს დანაღონია...
მიდი უცხუნე მათრახი,
რომ მოიკრიფოს გონია—
განვლო იმ წლებმა, რომელიც
ამა ბატონსა ჰგონია...
იმედი არის ამ თხოვნას
არ ჩაგვიტარებთ ფუჭადა
და გასამათრახს, თუ მოხვალ,
შევაგროვ ქუჩა-ქუჩადა...

კრაზანა.

ა ხ ს ნ ა
უცხო სიტყვებისა.

რადგანაც დღეიდგან „მათრახს“ ისევ ძველი თანამშრომლები დაუბრუნდენ, ეჭვი არ არის ჩვენ ჟურნალში უცხო სიტყვებიც დაბრუნდებიან, ამიტომ მეც, როგორც ძველი თანამშრომელი, ჩემს ძველ მოვალეობას დავუბრუნდი და რომ ჩვენ მკითხველებს წაკითხულის გაგება გაუადვილო, შეუდექი უცხო სიტყვების ახსნა-განმარტებას. ვეცდები ყოველ ნომერში მოვათავსო ჩემი ნაშრომი, მაშ დავიწყოთ.

ა

ალმანახი.—საჯირითო მოედანი, სადაც კალმის ტარზე გადამჯდარი ახალგაზდა მწერლები პირველად გამოდიან, რომ მწერლის პრიზი მიიღონ და უმოწყალოთ მიაქანებენ თავიანთ მერანს. მათი მერანი შეუპოვრად წინ მიქრის, მას ვერ აჩერებს ვერც მკითხველთა ჩივილი, ვერც საზოგადო აზრი, ვერც ასოთ ამწყობთა დაღრეჯილობა, უხვად ფქვავენ თავიანთ ტვინის ნაყოფს და უხვათა აფრქვევენ მთელ სამყაროს.

ასაკი.—წლოვანობის ის ხანა, როცა ქართველი მწერალი პირველად იწყებს ლანძღვა-გინებას.

არაყი.—ტვინის ასანთები მასალა. სახელმწიფოს ბიუჯეტის მთავარი ბოძი, რუს გლეხების სალოცავი ხატი.

აშურიანი. მანთაშევის სამარცხოსავაჭრო ადგილი, სადაც შესაძლოა გადაყრილ გლეხთა თვალთაგან წამომსკდარმა ნიაღვარმა ყველაფერი წალეკოს.

არშიყობა. —ეხლანდელ ბარიშნების სწავლა-განათლება.

ალავერდი—ქართველების ცხოვრების წყარო.

ალილუია.—მღვდელ-დიაკვნების სიმღერა.

აკვანი.—ბავშვის დასაძინებელი და მოზრდილების გამოსაფხიზლებელი საქანელა.

აფერისტი. — ფედერალისტების სალმერთებელი კაცი.

აფრაკი.—ცნობილი „პოეტი“, რომელიც თავის ნაწერებს თითონვე აქებს და ადიდებს.

ასვარია.—ფოთის ქალაქის გამგეობის კრებები.

—ი.

„მათრახის„ ფოსტა.

ბ ა ს ი ლ ე თ ი—„ნაციხვარელს“. დიდათ სამწუხარო ამბავია რომ ბ-ნ სოფრომს კარტის თამაში შემოულია „ბაკალენი“ და „საპოჟნი“ დუქანზე და გოგია, პეტრიელას და სიბიტიას ფულები წაუგია. სამწუხაროა ისიც, რომ ბოლოს კვერცხების ქურდობა დაუწყიათ ბუდიდან. ამას დიდი საზოგადოებრივი მნიშნველობა აქვს, რადგან აღდგომა მოახლოვებულია.

ჭ ი ა თ უ რ ა—„პეტრეს“. მივიღეთ თქვენი ლექსები „დამცკი პოტებს“ და „ზარხატოვანი ირემი“ რადგან მეტად ძვირფასი მარგალიტები არის, ამიტომ მათრახისთვის ვერ გავიმეტეთ და „ლახტს“ გარდავცემთ.

თ ფ ი ლ ი ს ი —ქიჰიკოს. როგორც იწერებით მეცხრე უბნის მეპურეებს დიდათ მნიშნველოვანი გადაწყვეტილება მიუღიათ. პურში გამომცხვარი ვირთაგვა და სხვა ქვემძრომნი დიდათ მარგებელია სხვა და სხვა ავათმყოფობისათვის.

დ. ყ ვ ი რ ი ლ ა. ნოქარ ხურხულს. დიდათ დაგვამწუხრა ვაჭარ იოსებ გაბუნიას ამბავმა. ფეხების დახუთვას და თვალების სიმსივნეს ცხელი აბანო ძალიან არგებს. წინადადება მიეცით ნოქრებს შეუგროვონ ფული და გაგზავნონ საექიმოთ.

ი ქ ვ ე—იგივეს. დაუყონებლივ გარდაეცით ვაჭარ პანტელ ნიორაძეს, რომ ბიჭების ასე ძალაზე გამოკვება ფრიად მავნებელია. საზოგადოება აღშფოთებულია ამ ამბით.

ო ზ უ რ გ ე თ ი—„ეი ვაჰს!“ ბეჭდვითი სიტყვის ახალი კანონით მღვდლებზე გამოცანების წერა სასტიკად აღკრძალულია. მით უმეტეს, როცა „მღვდელი ქარაფშუტაა და ქორის მთხზველი.“

ხ რ ი ა ლ ე თ ი—„ყანწს“. თაყა, ყარამან, გრიგოლი, ჯამლეთი, გოგი, ილაკრი
არიან შრომა ჯაფაში
და ბანქ-ბაქარას თამაშში?.

ვშიშობთ თაყა-ყარამანს არ ეწყინოს ასეთი უშნო ლექსის დაბეჭდვა.

კ ა ხ ე თ ი—ნ. გურჯანელს. თქვენი ლექსი „ვუძღვნი კახეთის მამულის გამყიდველ მებატონეს მ. ანდრონიკოვს“ „ლახტის„ რედაქციამ მოგვპარა და იქ იბეჭდება.

ლ ა ნ ჩ ხ უ თ ი. „აგალოპეს.“ გარდაეცით ახალ მამასახლის დიმიტრე ცინცაძეს, რომ საზოგადოება არ დაივიწყებს მის ღვაწლს როგორც თეატრის კანტრალიორისას.

ბ ა თ უ მ ი—მერცხალს. რომ შთამომავლობას არ დაეკარგოს ჩვენ ფოსტაში მაინც ვათავსებთ თქვენ მშვენიერ ლექსს:

„ფაფრიკის მუშას ბათუმში,
გაილვიძეთ კმარა ძილი,
ყველამ ერთად შემოსძახეთ
გვიყვარს და ვართ მოხარული“.

„მერცხალი„

ს. ნ ა ქ ა ლ ა ქ ე ვ ი. ყაზარს. დაუჯერებელ ამბავს იწერებით. ვიღაც გუძი მეტისმისაგან შეიშალაო. და „მოსაფრთხილებელია სანამდინ თაუში აპერაციას უზამენ". ჩვენ ასეთი ღრმა ქართული ენით დაწერილ წერილს ვერ დავბეჭდავთ.

ფ ო თ ი—კიკოს. დაუყონებლივ გვაცნობეთ ვინ არის ის „ფოთის" მცხოვრები პატრიოტი „სხვის ცოლებში დახტის" და

ამგვარ აზრით შეიყვარა
იმან თავის ცოლის და
ქვისლსა ტყეში გაგზავნიდა
და ქალი კი.. გვერდში ყავდა.

რა საჭიროა გამოცანით წერა პირდაპირ დაგვისახელეთ ვინ არის ეს მტარვალი.

— გამიშვით ხელი თქვე ოხრრებო, აქ არის ჩემი ბბინა.

ახალი „განკარგულება".

(იხ. კარიკატურა 1-ლი.)

გამოიცვალა ქალაქი... „მამების" განკარგულებით, თფილისის დუქან-პადვლებში თრობა „მოისპო" სრულებით.

მხატვარი

ვ. დ. კილაძე

მუხრანის ქუჩა, სახლი № 23.

ვიღებ დასახატად ყოველ-ვვარ სამხატვრო საქმეებს: ესკიზებს, კარიკატურებს ჟურნალ-ვაზეთებისთვის და ავრედვე ლიტოგრაფიის საერთაშორისო საქმეებს.

ფასები ყველასთვის ხელმისაწვდომია.

პროვინციებში.

(იხ. კარიკატურა მე-2).

ზედამხედველი. აბა შენ იცი როგორ მასახელებ მელიტონ ჩემო.

მელიტონ. კი პატონი, მე ყველაფერს ვიზამ.

ელექტროტიპოგრ. „ეკ. შრომა" მუხრანის ქ. № 12. რედაქტ.-გამომც. ფ. ბოლოქაძე.